№ 156 30 ენკენისთვე, პარასკევი 1866—1877 30 ენკენისთვე, პარასკევი № 156

ᲧᲚᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲢᲠᲘᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

ᲓᲠᲝᲔᲑᲐ

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲦᲘᲠᲡ ᲨᲐᲣᲠᲐᲗ

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ: სოლოლაკზე, ბალის ქუჩაზე, მელიქიშვილის სახლში, № 43

ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐ: მელიქიშვილის სტამბაში, ბანოვის ქუჩაზე.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲬᲔᲠᲐ: მიიღება კანტორაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ: დიდი-ასოებით ასოზე—5 კაპ.—ასოთ-მაჯუდიანი სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ცალეროთი—6 კაპ., პატრა—4 კაპ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიანი ედიტორს არ დაუბრუნდება.

ᲡᲐᲛᲘ ᲗᲕᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲬᲔᲠᲐ

„ᲓᲠᲝᲔᲑᲐᲖᲔ“

1 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ

ᲐᲛ 1877 ᲓᲐᲛᲚᲔᲕᲐᲛᲓᲔ

მიიღება თფილისში, „დროების“ რედაქციაში (ბანოვის ქუჩაზე, სტ. მელიქიშვილის სტამბაში). სხვა ქალაქებში „დროების“ აგენტებთან.

ᲤᲐᲡᲘ ᲡᲐᲛᲘ ᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲐ—3 მან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა გაზეთი ამ ადრესით უნდა დაიბარონ: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.*

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲔᲑᲘ

„ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡᲐ“

თფილისს გარდა შემდეგ ქალაქებში ისყიდება.

ᲒᲝᲠᲨᲘ—რკინის გზის სტანციის ბუფეტში.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ: სვიმონ ჩომახიძესთან, ტიპოგრაფიაში, ბულვართან,

ᲑᲔᲭᲐᲗᲣᲑᲐᲜᲨᲘ—სტანციის ბუფეტში,

ᲮᲐᲨᲣᲠᲨᲘ (მიხაილოვში)—სტანციის ბუფეტში,

ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔᲡ—უფ. ალ. ვარძელოვის მაღაზიაში.

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲛᲔᲑᲘ

ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲕᲔᲚᲘᲓᲐᲛ

ᲘᲒᲓᲘᲠᲘ, 28 სექტემბერს. ოსმალოებმა გამოიცვალეს თავიანთი ბანაკი; ისინი დაბანაკდნენ სოფ. ჩარუხჩის პირ-და-პირ და ცოტ-ცოტათი ჩამოდიან ძირს ხალფალუსაკენ, თან მიწის სიმაგრეებს აკეთებენ. შესაძლებელია, რომ აქ მალე ჩვენსა და იზმაილ-ფაშას შუა შეტაკება მოხდეს; ჯერ-ჯერობით კი მხოლოთ წვრილმალი შეტაკება გვაქვს მტერთან. ამბობენ, იზმაილ-ფაშა უკან დაიწევსო.

(ოფიციალური)

ᲒᲝᲠᲜᲘ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲘ, 27 ენკენისთვეს. რუსჩუკის ატრიადს ორჯერ ჰქონდა წვრილმალი შეტაკება მტრის ჯართან და ორივეჯერ უკუ-აქცია მტერი.

სილისტრიასთან 26 ენკენისთვეს ოსმალოებმა თავიანთ ბატარეებიდამ და ხომალდიდამ ყუმბარები დაუშინეს ჩვენს ჯარს.

ᲝᲛᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲐᲖᲘᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲕᲔᲚᲘᲓᲐᲛ

ᲧᲕᲔᲚᲐᲡᲗᲕᲘᲡ ცხადია, რომ ამ ზამთრამდინ რუს-ოსმალოს ბრძოლა ვერ გათავდება, რადგან ჯერ-ჯერობით შესამჩნევი უპირატესობა და გამარჯვება არც ერთს მხრისაკენ არ არის.

ᲐᲛᲘᲢᲝᲛᲐᲪ ორივე მოწინააღმდეგენი საზამთროთ ემზადებიან. ᲐᲛ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚ ᲦᲚᲔᲑᲘᲡ განმავალობაში თფილისზე დიდ-ძალი თოლუფები და სხვა თბილი ტანისამოსი გაატარეს ჩვენი ჯარისთვის ᲑᲣᲛᲑᲠᲘᲡᲐ და ᲘᲠᲔᲕᲜᲘᲡᲐᲙᲔᲜ. რუსეთში და სამზღვარ გარეშაც, როგორც რუსული გაზეთები გვაცნობებენ, ჩვენს მთავრობას საზამთროდ რკინის სახლები შეუკეთონია მეიჯარადრეებისათვის და აგრეთვე თბილი ტანთსაცმელი.

ᲐᲛ გვარივე მზადება ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲡ ᲛᲛᲐᲠᲗᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡᲐᲪ აქვს თურმე.

ᲐᲛᲐᲡ გარდა ორივე მოწინააღმდეგეთ ჯარები, აქაც და ᲑᲝᲚᲒᲐᲠᲘᲐᲨᲘᲐᲪ, განსაკუთრებით ᲑᲐᲚᲙᲐᲜᲗᲐᲖᲔ, თავიანთ გამაგრებულ მაღლობ ალაგებიდამ ჩამოდიან და ბარში ბანაკდებიან, რადგან მთებზე უკვე თოვლი და სიცივეები დადგა.

—

მოგვყავს გაზეთს „ᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘᲡ“ ტელეგრამმა უკანასკნელ შეტაკებაზე მუხთარ-ფაშასთან ამ გაზეთის გუშინდელს ნომერში დაბეჭდილი:

„ᲣᲐᲠᲐᲘᲐᲚᲘ, 27 ენკენისთვეს 20-ს, 21-სა და 22-ს რომ ბრძოლა იყო, იმ ბრძოლაში ოსმალების მხრით მოკლულია—2,142 კაცი, დაჭრილი—4,883, დატყვევებული—249 და 2,600 კაცი გაიფანტენ. ᲓᲦᲔᲡ, ღამით, ამდენი ხალხის დაკარგვით დასუსტებულმა მუხთარ-ფაშამ, რომელსაც ამას გარდა ეშინოდა, რომ ᲧᲐᲠᲡᲘᲡ გზა არ შემიკრონო, სჩქაროთ მრატოვა ᲧᲘᲖᲘᲚ-ᲗᲐᲤᲘᲡ მთა და ალაჯადაღზე გადავიდა. ᲓᲦᲘᲗᲘᲗ ჩვენი ჯარი მიაწვა იმას და ᲫᲭᲣᲚ-ᲛᲔᲠᲜᲘ მიადევნენა. სუბოტანი და ᲰᲐᲯᲘ-ᲕᲚᲘᲪ ᲩᲕᲔᲜ დავიჭირეთ. ჩვენმა ჯარმა იარაღით აღებულს პოზიციებზე გაათია ღამე.“

ᲐᲛᲐᲕᲔ „ᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘᲡ“ კორრესპონდენტის სიტყვით, ჩვენის მხრით მარტო 2,679 კაცია დაჭრილი.

—

„ᲖᲘᲠᲨᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ“ გვაცნობებს, რომ მცირე ᲐᲖᲘᲐᲨᲘ ოსმალოები კიდევ ახალ ჯარს ჰკრეფენო. ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲐ მოვიდა ხონთქრისაო, რომ ვისაც თოფ-იარაღის ხმარება შეეძლიან, ყველა ვალდებულია ბრძოლის ველზე გავიდესო.

—

ᲡᲝᲮᲣᲛᲨᲘ რომ ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲡ ჯარის უფროსი ᲤᲐᲖᲚᲘ-ფაშა იყო, თავის დაპირებასამებრ, ᲓᲣᲜᲐᲔᲖᲔ გადასულა და ამ არმიის ახალს სარდალს სულეიმან-ფაშას, როგორც იწერებიან, ერთი კორპუსი ჩაუბარებია იმისათვის.

—

სტამბოლელი კორრესპონდენტი გაზეთის „Голосъ“-ისა გვაცნობებს, რომ ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲡ მთავრობას ერთი თავის დანდობილი ჩინოვნიკი და ერთიც ბერძნის მიტროპოლიტის ამორჩეული პირი გაუგზავნია ᲐᲗᲝᲜᲘᲡ მთაზე, ჩამოურთმევიათ რუსებისთვის სამი აქაური მონასტერი და თვითონ დაუსაკუთრებიათ.

ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲕᲔᲚᲘᲓᲐᲛ

ჩვენს ქალაქში მოსული „ᲮᲐᲚᲮᲗᲐ-ᲨᲝᲠᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡ“ დეპეშა გვაცნობებს, რომ მეჰმედ-ᲐᲚᲘ-ფაშას მაგივრად ᲓᲣᲜᲐᲘᲡ არმიის უფროსად დანიშნულს სულეიმან-ფაშას, (რომელიც ადრე შიპკასთან იყო), სამ ნაწილად გაუყვია ეს არმია: ერთი ᲐᲡᲘᲤ-ფაშისთვის ჩაუბარებია, მეორე ᲖᲚᲘ-ფაშისათვის და მესამეც ᲔᲒᲕᲘᲞᲢᲔᲡ პრინცის ᲰᲐᲡᲡᲐᲜ-ფაშისათვის, და ამასთანავე ყველა ამ ჯარისათვის ბრძანება მიუცია წინ გამოწევისა. სულეიმან-ფაშის მთავარი კვარტირა ამ ჟამად ᲘᲣᲜᲐᲩᲘᲚᲘᲧᲨᲘ იმყოფებაო.

—

ᲐᲛᲐᲕᲔ საᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡ სიტყვით, მთელს ᲑᲝᲚᲒᲐᲠᲘᲐᲨᲘ ამ ჟამად საშინელი წვიმები დაწყებულა, მთებზედ თოელსო ასე, რომ ომისათვის ძალიან ცუდი დრო დადგაო.

უეჭველია, ამ ცუდ ამინდებს უნდა მივაწეროთ, რომ ამ უკანასკნელ დღეებში არც პლევნოსთან და არც შიპკოზე არაფერი შეტაკება ირ მომხდარა რუსებსა და ოსმალოს ჯარს შუა.

—

სამი მთავარი არმია მოქმედებს ამ ჟამად ოსმალეებისა ევროპის ბრძოლის ველზე: ბალკანზე (შიპკოში), დუნაიზე და პლევნაში. როგორც მოგეხსენებათ, ბალკანზე სულეიმან-ფაშა იყო, დუნაიზე — მეჰმედ-ალი-ფაშა და პლევნოში ოსმან-ფაშა. ოსმალოს მთავრობის განკარგულებით, სულეიმან-ფაშა დუნაის არმიის უფროსად არის ახლა დანიშნული და კიდეც მისულა რაზგრადში, რეუფ-ფაშა ბალკანში დანიშნეს. ოსმან-ფაშა კი ისევ პლევნოშია.

საქართველო

„დროების“ კორრესპონდენცია

სიღნაღი, 27 ენკენისთვეს. ამ ერთ კვირის წინათ სიღნაღის მეიდანზედ ხალხი შეყრილიყო და ერთი ახალგაზრდა ყმაწვილი კაცი კითხულობდა თქვენ პატივცემულ „დროების“ მე-144 ნომერსა; ამათში მეც გახლდით. ხალხი დიდ სიამოვნებით ყურს უგდებდა, რომ ესმოდათ ბრძოლის ველიდამ ახალი ამბავი; მაგრამ უცებ ხალხის გუნება ძლიერ გამწარდა და მძიმედ ეჩვენათ, როცა წაიკითხა ამ ახლგაზრდამ სიღნაღელებზედ დაწერილი სტატია უ. ქ. ბ—შვილისა.

გთხოვთ, უ. რედაქტორო, მისცეთ ჯეროვანი ადგილი თქვენ პატიოსან გაზეთში აღსადგენათ სიმართლისა ამ ავტორის სტატიაზედ, რომელიც არის ტყუილი ცილის-წამება და ცრუ ჰაზრი.

უ. ქ. ბ—შვილი ამბობს:

„ქათმისა არ იყოს, რაც იქნება უბედურობა, სულ ქიზიყელის კისერმა უნდა აიტანოს; სოფლებიდგან ხალხი გაგზავნეს ალაზანზედ; სიღნაღელები კი თავის ოთახებში მოსვენებით ბრძანდებიან“.

რასაკვირველია, ამ წერილით აღვიძებს აქაურ მთავრობას. მართალია, მარტო სოფლები არ არიან მოვალე სამსახურის აღსრულებისა ამისთანა არეულობაში; მაგრამ რადგანაც ქიზიყელი გლეხები მოიქცნენ როგორც ნამდვილი ქათმები (უ. ქ. ბ—შვილის თქმით), კიდევ ისინი უნდა წავიდნენ ალაზანისკენ. აი როგორ:

რა დროსაც ხმა გამოვიდა ლეკების არეულობაზედ, მთელი ქიზიყელი გლეხები გარეული ქათმებივით ეცნენ ტყეებში და მთებში; სოფლები კი გაუშვეს უპატრონოთ; გულით რომ სდომებოდა ვისმეს, ერთ კაცს ვერ იპოვიდა. როცა თოფები გაატანეს სოფლებში გლეხ-კაცებისათვის დასარიგებელათ, — ჰკითხონ, იყვნენ სოფლებში კაცები, თუ არა?

ტყეებიდგან და მთებიდგან ჩამორეკეს ხალხი მამასახლისებმა და ისე დაარიგეს თოფები, და თუ სიღნაღელებიც ისრე დამალულიყვნენ, მაშინ ადვილი იყო მტრისაგან სიღნაღის აღება. სიღნაღელებს მოსვენებით არა სძინებიათ; ყველანი იარაღში შეკმაზული ყოველ ღამე დღევანდლამდინ რიგით ყარაულობდნენ სიღნაღის ოთხსა მხარესა. ვკითხამ უ. ქ. ბ—შვილს, სიღნაღელები რომ ალაზანისკენ წავიდნენ, ვიღამ უყარაულოს სიღნაღსა, რომლისაც სიღნაღში ჯარი არ არის, გარდა ერთი როტისა, რომელიც არის აქა-იქ სხვა მხარეს დაქსაქსული, ამ შიშობის გამო, მტრის დასახვედრათ.

პირველად სწერს: „სიღნაღელები თავის ოთახებში მოსვენებით ბრძანდებოდნენო;“ შემდეგ ამბობს: „მართალია, სიღნაღის ხალხი შეიარაღდა, ყველამ თოფი აიღო; მაგრამ თუ საქმემდისინ მივიდა, მარტო სოფლის ხალხის სისხლი დაიღვრება“. ამნაირად თავის ნათქვამ ტყუილ აზრს თითონვე ამართლებს: როცა სიღნაღელების შეიარაღება ნახა, რატომ ის არა ნახა ან არ გაიგო, რომ გათენებამდინ ყარაულობდნენ? სჩანს, რომ თვითონ ყოფილა მოსვენებით თავის ოთახში, თორემ რომ არ სძინებოდა, იქნება სიმართლე დაეწერა.

ბოლოს სწერს:

„ქიზიყელი გლეხი მოწყვეტილია ჯანზედ, დაქანცულია, მშიერია, ასეც ნახევარი მკვდარია; სიღნაღელები კი შეხვენებულნი არიან, მაძღარი და თამამი; უფრო უნდა გულადათ ეომონ მტერსა“.

ნამდვილია უ. ქ. ბ—შვილის წერილი, მართლაც ქიზიყელი გლეხ-კაცები მოწყვეტილი არიან ჯანზედა, დაქანცული და მშიერი; მაგრამ სიღნაღელებისა რა ბრალია? იწყვეტენ წელსა, იქანცებიან, მუშაობენ და ბოლოს თავიანთ მთელ წლის მონაგარს ერთ დღეში აფუჭებენ,—როცა მოუვათ თავიანთი სოფლის ეკლესიის დღესასწაული (?!).

„მაძღარი და თამამი“ სიღნაღელი

ფელეტონი

ხმა პროვინციიდამ

აგერ ეს ორი-სამი კვირა მიდის, რაც ჩვენს პროვინციას შემოდგომის ფერი დაედო: ემ წინაზედ ხალხით და ძნებით მოფენილი მინდორი, დღეს დაცარიელებულად და მიყრუებულად არის თქვენ წინ გაშლილი; აქაური სიცოცხლე და ხალხის მოძრაობა ახლა ვენახებშია გადასული.

მაშ, მინდორს მორჩა ჩვენი გლეხი და ახლა ვენახების დროა, წლის სამყოფი პური ჩაიყარა ორმოსა და გოდრებში და ახლა ღვინითაც უნდა აივსოს ქვევრები! და, რადგანაც საზოგადოთ ჩვენს ზემო-ქართლში წლეულ ვენახებს კარგათ ასხიათ, ვგონებ რომ ჩვენებური გლეხი ამ უკანასკნელ სურვილსაც ადვილათ და კარგათ შეისრულებს.. და შეისრულებს მომეტებულად მაშინ, თუ კი ამისთანა სასარგებლო დარები დაუდგა ბოლომდისინ.

ჩვენებურ ვენახებს ორი გამოჩენილი მტერი ჰყავს: ერთი ნაცარი და მეორე—რთვილი. ჩვენდა სასიხარულოდ, წრეულ პირველმა თავი გვანება; მეორის მობრძანებას კი ჯერაც დრო არ წასვლია; და თუ ამ მომავალმა კვირამაც ისე სვინიდისიანათ გაიარა, როგორათაც წარსულებმა, მაშინ ამ უკანასკნელ მტერსაც უკან მოვიქცევთ. ამის შემდეგ მან ათასი თავში ქვაც რომ იცეს, მაინც ჩვენებურ გლეხთ ის ველარ შეაშინებს; ეს იმისთვის, რომ იმ კვირის განმავალობაში კარგა ლაზათიანათ დაგვიმწიფდება ყურძენი და მწიფე ვენახებს, გინდა თოვლიც დაეყაროს, არა უშავთ-რა. თუ ეს ასე მოხდა, მაშინ ცხადია, რომ ჩვენს პროვინციას წრეულ ღვინოც კარგათ მოუვა.

მაშ რაღა უნდა ამ ხალხს? პური ბევრი, ღვინო მომეტებული, სიმინდი, ხილი საკმაო.. რაღა აკლიათ?! —აღარაფერი.. გაუშალეთ წინ სუფრა და „ქუდი ჭერში“..

მაგრამ მოითმინეთ, ჩემო ბატონო, საქმე ასე არ გახლავთ.. შემოდგომა მაძღარიაო, ამბობს ჩვენი ხალხი. სწორეთ.. და მომეტებულად მაშინ, თუ კი შემოდგომა წლევანდელისთანა მოსავლიანი შემოდგომა არის. ამ დროს მრავალს ნახავთ იმ გვარ გლეხთ, რომელთაც ოჯახი ღვინითა და პურით აქვთ სავსე.. მაგრამ ეს შემოდგომაზედ..

მიბრძანდით და ნახევით ესევე სავსე ოჯახობა გაზაფხულზედ!. მაშინ დაინახავთ, რომ ეს სავსე ოჯახები, თითქო რაღაცა მანქანებით, სრულიად გამოფხეკილნი არიან. უბედურებაც ამაშია, რომ ჩვენს გლეხს, ზოგჯერ მაინც, წლის სამყოფი მოსავალი მოსდის და წლის ბოლომდის კი არა ჰყოფნის..................

. . . .

....მ ამის შემდეგ რა გასაკვირველი უნდა იყვეს, რომ ჩვენი გლეხის ცხოვრებაში ასე გადაბმულად და დაუსრუ-

უცხო ქვეყნები

საფრანგეთი

ზოგიერთ პარიჟის გაზეთებში დაბეჭდილი იყო ამას წინათ მოყვანილი ხმა, ვითომც თავის მეორე მანიფესტში, რომელსაც მარშალი მაკ-მაჰონი კენჭისყრის წინა დღეს გამოცემას უპირებს, გამოაცხადებსო, რომ ისე ცდება საფრანგეთში კონსერვატორიული რესპუბლიკა დაამყაროსო.

ამ ხმამ, რასაკვირველია, საშინლად აალელვა კლერიკალური და ბონაპარტისტული გაზეთები, რომელნიც ერთხმად აცხადებენ, რომ ჩვენ იმიტომ როდი ვეხმარებით მაკ-მაჰონს რესპუბლიკური პარტიის შევიწროებაში, რომ ისევ რესპუბლიკა დაადგინოსო.

— ამ ორ პარტიის ხალხში შესამჩნევი მოძრაობა არის ამჟამად; კენჭის ყრისათვის ემზადებიან; ბურბონების „ბატონი" გრაფი შამბორი ახალი მანიფესტის გამოცემას აპირებს; რუერიც პრინც ნაპოლეონს აგრეთვე მანიფესტს უმზადებს. ორივენი, რაღა თქმა უნდა, გამოაცხადებენ და „დაამტკიცებენ", რომ საფრანგეთის შველა და გაბედნიერება იმათ „ბატონების" ტახტზე ასვლაზედ არის დამოკიდებულიო.

ბელგია

გაზეთი „Indépendance Belge" გვაცნობებს, რომ ამ ორი კვირის წინათ ბელგიის ზოგიერთს ქალაქებში მუშების არეულობა ყოფილა. მიზეზი არეულობისა მუდამ ერთი-და-იგივეა: ისინი ქარხნებისა და ზავოდების პატრონებისაგან თხოულობენ, რომ დღიური ქირა მოუმატონ და უფრო ნაკლები დრო ამუშაონ. ეს არეულობა ამ უკანასკნელ დღეებში, როგორც იწერებიან, ცოტ-ცოტათი დამშვიდებულა, რადგან მუშები და მექარხნეები დათანხმებულან ერთმანერთში.

წერილი რედაქტორთან

სოფ. სანიორესა და ნაფარეულს ერთი სომხის ტერტერა არის, რომელიც იმნაირ საქმეებს სჩადის, რომ არამც თუ ამნაირ სასულიერო წოდებისას შეეფერება, არც ისეთს რომელიც არც სააქაოსას ფიქრობს და არც საიქიოსას.

ეს ჩვენი ტერტერა ისეთი ხასიათის კაცია, რო ორი კაცი ჩხუბობდეს და იქ დაესწროს, ერთმანეთს დაახოცინებს; ამას ჩხუბი და დავიდარაბა თითქო სასიამოვნოთ მიაჩნია. რო კაცი კაცთან შერიგდეს ნაჩხუბი და იქ დაესწროს, შურისძიებას ჩამოაგდებს და ისევ წააჩხუბებს. რო კაცს სხვისა ვალი ემართოს, იმ მოვალეს ნახამს ჩუმათა და გაამაგრებს, არ მისცე, აწვალეო. ხელათ რომ ვისმესაგან ფული ითხოვო, და ხელათვე პატარა ზაპისკა მისცე, შემოგიჩნდება და ეცდება, რომ მოვალეს უარი უთხრა ფულის გადახდაზედ; ეს მაგალითები ერთი და ორი არ არის და ამისთანა შემთხვევებისაგან ერთი შფოთები და ხათაბალები ხდება ყოველთვის.

ესვე მღვდელი მუდამ დაიარება სოფლის სასამართლოში და აწუხებს მოსამართლეებსა და მამასახლისებს, რომ ჩემი საქმე ან სხვისი ვისმესი ესე და არა ისე გადამიწყვიტეთო. და რადგან იმისთანა აბეზარი კაცია, სუდიებსაც ეშინიანთ და ღმერთისა, კაცისა და კანონს რო არ მიხედონ, იმის სიტყვაზე უნდა გადაწყვიტონ. უცოდინარ საწყალ გლეხ ხალხს უკანასკნელ ქალამნებსაც გააძრობს ფეხიდან, არ ეცოდვება, თუ კი ჩაიგდო ხელში.

თითქმის წირვა და ლოცვა არ აგონდება ჩვენ ტერტერას, ამისი გონება სულ კანცელარიაშია, დილიდან საღამომდის კანცელარიის კარზე აღამებს.

თუმცა სოფლებმა ბევრჯელ დააპირეს ჩივილი უმაღლესს ალაგასა, მაგრამ ამ ორ სოფელში, სანიორესა და ნაფარეულსა, მომატებული სომხები არ არიან და რაც არიან, ისინიც აქა-იქა დგანან და ამის მიზეზით ვერც თავი მოუყრიათ, რო გამოუცხადონ უმაღლეს ადგილს თავიანთ ამ გვარი შეწუხება.

ფანიანელი

კავკასიის საბებიო ინსტიტუტი.

მშობიარე ქალები მიიღებიან ყოველთვის დღე და ღამე; ფასი დღეში 50 კაპ., ღარიბები უფასოთ მიიღებიან.

ცალკე ოთახების ქირა თვეში 30—50 მანეთამდის არის.

მიღება ავათმყოფი ქალებისა და ყმაწვილების.

ქალის ავათმყოფობისათვის:

ყოველ დღე, კვირას გარდა, 10 საათიდამ 11-დინ—დოქტორი ონანოვი.

ოთხშაბათობითა და შაბათობით 12 საათიდამ 1-მდინ—დოქტორი რემერტი.

სამშაბათობით და შაბათობით 11-დამ 12მდინ—დოქტორი ალბანუსი.

საყმაწვილო ავათმყოფობისთვის:

ხუთშაბათობით 11 საათიდამ 12-მდინ და კვირაობით 10-დამ 11-მდი—დოქტორი უშა-

შაბათობით 12 საათზე რჩევაა დოქტორებისა, რემერტის, ალბანუსის და ანანოვის

ლებლად მისდევენ ერთი ერთმანეთს მრავალი უბედური მოვლინებანი...

მაგალითებრ: წრეულ, დასდგა თუ არა გაზაფხული, მოჰყვა მას თან ბავშობის გამოჩენილი მტერი—წითელა... მოედო თითქმის მთლად ზემო-ქართლის სოფლებს და ამ შემოდგომის დადგომამდის შეუწყალებლივ მუსრა ბავშობა.

დასდგა ზაფხული და ამ გაზაფხულის წითელას ამან საქონლის ჭირიც დაუმატა. ეს ჭირი არა თუ ჯერაც არ გათავებულა, არამედ ის თან-და-თან ვრცელდება დღესაც. ბევრი ურემი გააუქმა ამან! ბევრი გლეხი დასვა საცოდავათ გულხელ დაკრეფილი! რავდენსამე სოფელს ისე გაექლიტათ საქონელი, რომ კალოებზედ თითქმის ველარ დაინახავდით ხარსა და კამბეჩს: სალეწს რის ვაი-ვაგლახით მოთხოვნილი ცხენებითა ლეწავენ აქ.

ჭირისაგან დახოცილი საქონელი გამოაქვთ და თავ-თავიანთ სოფლების გარშემო დაუმარხავათ ჰყრიან. ეს ყროლდება.. ამ სიმყრალისაგან დღეს ჩვენში ლამის ადამიანის ჭირიც გაჩნდეს: ჯერაც არა ერთი ადამიანი მომკვდარა ხოლერის მსგავსი უეცარის სიკვდილით.

დაგვიდგა შემოდგომა.. არც ეს ჩამორჩა თავის წარსულ მოძმეთ: ახლა საშინელი ციებ-ცხელება არის მოდებული ჩვენსკენ.

დაუმატეთ ყველა ამას ამ ომიანობის შიში და მისი ერთი შედეგთაგანი—სულ ყველაფრის საშინელი სიძვირე და მაშინ მიბრძანეთ—რა უნდა ჰქმნას ამ გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩაფლულმა საცოდავმა ხალხმა?!. ვინ იქნება ამისი ხელის-ამპრობი, ამის მშველელი, გამამხნევებელი?! ვინ ახვევიან მას გარშემო?—ვაჭრები, მღვდლები, ჩინოვნიკები!. ეს განმაბედნიერებელნი ჩვენის ხალხისა!—სომხები, ურიები და თავად-აზნაურობა!.. ეს ჩვენი დავით აღმაშენებელნი!!. რას იტყვით, მკითხველო, ამაზედ! ან კი რა გეთქმით!..

როგორ უნდა უშველოს კაცმა ამ უბედურ მდგომარეობას? თქვენი არ ვიცი, მკითხველო, თუ რას იტყვით ამ კითხვაზედ, ჩვენსკენ კი ბევრი ბევრნაირად ფიქრობს ამაზედ: ერთნი თავიანთ უბედურობას მხოლოდ ზემოხსენებულს სნეულებეებში ხედავენ და ბრძანებენ: ჩვენი გორის უეზდის დოქტორი რომ ცოტაოდენათ მაინც არის, საწყალთ და უბედურთ შემბრალებელი იყვეს და ყველასგან ფულებს არ ითხოვდეს, მაშინ ჩვენი უბედურება ერთი ნაკლებათ შემცირდებაო.. მეორენი უბედურების წყაროს ეხლანდელს სიძვირეში ეძებენ და, ამისგამო, ომიანობის მალე გათავებას ნატრობენ.. ზოგნი პოლიციის პრისტავების ხალხზედ უზრუნველობას აწერენ ყოველ ბოროტებას და შესთხოვენ ღმერთს სვინიდისიანი პრისტავების გამოგზავნას. ზოგნიც, კიდევ, სხვა რაღაებშიაც აგულებენ უკვდავების წყაროს... მაგრამ, ვინ არ დაინახავს, რომ ამ მოაზრებათ ერთსაც არა აქვს ხეირიანი რამ საფუძველი.. . . . .

პროვინციალური მათვალიერებელი

25-ს ენკენისთვეს

ს. არბო

განცხადებანი

ტფილისის თავად-აზნაურთა სადგილ-მამულო ბანკის ზედამხედველ კომიტეტის თავსმჯდომარე, ამ ბანკის წესდების § 83 მუხლის ძალითა და 23 ენკენისთვეს დადგენილის განაჩენის საფუძვლით, აცხადებს, რომ იმ საგნებს გარდა, რომელნიც მომავალ 10 ღვინობისთვის საზოგადო კრებაზე უნდა განიხილონ ბანკის დამწესებელთა, კიდევ შემდეგ საგანზე იქნება სჯა:

მიღებულ იქმნენ, თუ არა, ბანკის წევრებად და დამწესებლებად ის ტფილისის გუბერნიის ადგილ-მამულის მოპატრონე თავად-აზნაურნი, რომელთაც გლეხების განსათავისუფლებელი ფული მიიღეს და რომელნიც ახლა ისურვებენ მთელი იმ ფულის ერთად შემოტანას ბანკში, რომელიც 29 ნოემბრის 1872 წლის საზოგადო კრების პროტოკოლის ძალით იმათ უნდა შემოიტანონ.

(3—3)

გაკვეთილები

თეორეტიულის და პრაქტიულის **ბუხ-ჰალტერიისა** ორ-გვარის ანუ იტალიურისა, ბანკის, ფაბრიკის, სავაჭრო, კომისიურის და აგრეთვე **სავაჭრო არითმეტიკისა.**

ადრესი: ლაბორატორიის ქუჩა, ნამესტნიკის ბაღის პირ-და-პირ, პსაროვის სახლებში, № 14.

გ ლ ო ვ ა
ირაკლი მეორისა
თქმული სოლომონ მსაჯულისაგან
გამოცემული ზაქარია ჭიჭინაძისაგან
ისყიდება ვართანოვი წიგნის მაღაზიაში,
ფასი ერთი შაური

კავკასიის განყოფილება გაზეთის „ГОЛОСЪ“-ის რედაქციისა და კანტორისა

(ტფილისში, გოლოვინის პროსპექტი, ანტონოვის სახლები) იღებს

ა). სტატიებს, კორრესპონდენტიებსა და ტელეგრაფიულ ცნობებს შესანიშნავს აწმყო შემთხვევებზედ,

ბ). ხელის-მოწერას გაზეთს „ГОЛОСЪ“-ზე ყოველგვარის ვადითა და

გ) ყოველგვარ სახაზინო და კერძო განცხადებათ საზოგადოთ გასაგებს ენებზედ.

გაზეთის „ГОЛОСЪ“-ის ცალკე №№ (ეგზემპლიარი ორ შაურად) **ისყიდება:**

ა). **ტფილისში:**

I და II განყოფილებში უფ. **გ. ი. აზნაუროვის** მაღაზიებში (გოლოვინის პროსპექტი, მდივანის სახლები) და **გრიქუროვთან** (Кавказская Книжная Торговля)—წიგნის მაღაზიებში.

ბ). **ქუთაისში—სვ. ჩომახიძესთან** (ტიპოგრაფიაში)

გ). **ვლადიკავკაზში**—უფ. **წილოსანთან.**

ამას გარდა განყოფილება მოიწვევს კომისიონერებს კავკასიის აქეთა და იქითა მხრის ადგილებში გაზეთის „ГОЛОСЪ“-ის ცალკე №№ გასასყიდველად.

ტფილისის სამკურნალო

(4-ს აპრილის სახსოვრად)

ერევნის მაედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 8 საათიდამ დილისვე 10 საათამდინ.

ორშაბათს: ექიმი მინკიევიჩი— ხირურგიულ ავათმყოფობისათვის, ბარალევიჩი და ლისიცევი—შინაგანი ავათმყოფობისათვის.

სამშაბათს: ვერმიშევი და მარკაროვი—შინაგანი ავათმყოფობისათვის, **თამამშევი**—თვალის ექიმი.

ოთხშაბათს: ლისიცევი—შინაგანი ავათმყოფ., მიუჩარიანცი—ვენერიული ავათმყოფობისათვის.

ხუთშაბათს: ვერმიშევი—შინაგან ავათმყოფობისათვის.

პარასკევს: ლისიცევი და ასტუროვი—შინაგანი ავათმყოფობისათვის და მინკევიჩი—ხირურგიულისთვის.

შაბათს: ვერმიშევი და მარკაროვი—შინაგანი ავათმყოფ., მიუჩარიანცი—ყურის და ხირურგიულ ავათმყოფობისათვის და **თამამშევი**—თვალის ავათმყოფობის

დაიბეჭდა და გამოვიდა სტამბიდამ
ლ ე ქ ს ი
თ. ი. ზ. ჩოლაყაშვილის
გარდაცვალებაზედ
თ ა ვ ი ს ს უ რ ა თ ი თ
თქმული
დ ა ვ ი თ ბ ი ვ ი შ ვ ი ლ ი ს ა გ ა ნ

ისყიდება სხვა და სხვა წიგნის მაღაზიებში.

ფასი ყველგან ორი შაური.

მეხუთე კარი
„ყარამანიანი“

გამოვიდა და ისყიდება, ტფილისში: მელიქიშვილის სტამბაში და სხვა წიგნის მაღაზიებში. სპარსულიდგან ქართულს ენაზე ნათარგმნი თავის სურათებით. ფასი 40 კაპ. (ორი აბაზი). აგრეთვე ისყიდება ზემოხსენებულ ადგილებში I, II, III, და IV კარი ყარამანიანისა.

ქუთაისში: გუბერნიის სტამბაში სვიმონ ჩომახიძესთან.

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
ტფილისი .	9	21	5	18				
მცხეთა. . .	10	11	6	27	-	68	-	38
გორი . .	11	58	9	43	2	40	1	23
ხაშური . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი. . .	1	44			4	42	2	46
ყვირილა .	5	49			5	81	3	23
რიონი. . .	6	47			6	75	3	75
სამტრედია .	7	41			7	73	4	29
აჴ.-სენაკი .	—	—			8	57	4	76
ფოთი. . .	9	40			9	75	5	42
ფოთი . .	9	13						
აჴ.-სენაკი.	—	—			1	18	-	66
სამტრედია.	11	16			2	6	1	14
რიონი . .	12	13			3	4	1	69
ყვირილა. .	1	18	ღამე		3	98	2	21
სურამი. . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური . .	5	39	1	37	5	84	3	24
გორი . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა .	8	50	6	59	9	8	5	4
ტფილისი .	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი	მ.	კაპ
ოცი სიტყვა ტფილისიდამ:		
ქუთაისს, ფოთს . .	1	—
გორს, დუშეთს, სიღნაღს	-	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას . .	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
ინგლისში	3	75

ფოშტა

ა) ტფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: ტფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	კაპ
ღია წიგნის	4
დაბექდილის (სამი მისხალი).	8

ბირჟა	მან.	კაპ
პეტერბურგი, 21 ენკენის.		
ერთი მანეთი ღირს:		
ლონდონში 24 პენსი.	—	78
პარიჟში 259 სანტიმი.	—	81
ესკონტი (სარგებლისფასი)	7½	—
ბანკის ბილეთი 5%	94	—
მოგებიანი (პირველისესხი)	208	25
მოგებიანი (მეორე სესხი)	208	75
ბირაოს ფურცლები:		
ტფილ. სახზნ. ბანკისა.	—	—
ხერსონის ბანკის (5¹	85	25
მოსკოვის (5%). . .	85	50
აქციები:		
ოდესის სავაჭრო ბანკის	177	—
ფოთი-ტფილ. რკინ. გზის	—	—
შავი ზღვის ცეცხ. გემების	527	—
კავკაზის და მერკურის. .	225	—
პირვ. სესხ. საზოგ.	745	50
პეტერბ. სესხ. საზ.	235	50
მოსკოვის სესხ. საზ.	268	—

მაზანდა	მან	კაპ
ტფილისი, 27 ენკენის.		
ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფუთ.	1	90
ფქვილი წითელი. . .	1	45
ქერი ფუთი. . . .	1	25
ბამბა ერევნისა, ფუთი .	8	20
—ამერიკისა, ფუთი. .	8	50
გაპენტილი ბამბა ფუ.	9	50
მატყლი თუშური ფუ .	7	—
—თარაქამისა ფუ. .	3	50
აბრეშუმი ნუხური სტ.	3	—
ქონი, ფუთი. . .	5	80
ქონის სანთელი ფუთი.	8	—
სტეარინის სანთელი, ფ.	12	54
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	54
—ცხვრისა, ლიტრა .	—	63
სპირტი, გრადუსი .	—	12
შაქარი, ბროც. ფუთი .	8	20
—ფხვნილი ფუთი . .	7	20
ყავა გრგვალი, ფუთი .	26	—
ზეთი ქუნჯუთისა ფუთ.	12	—
ოქრო ½ იმპერიალი. .	8	90

Дозволено цензурою. Тифлисъ, 29 Сентября 1877 г. Типографiя Меликова. გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.